10378-15-4-2-202010210920

N 15-4/10378
21/10/2020

საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ ირაკლი შოთაძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

[redacted] დამატებითი ბრალდების წარდგენის შესახებ რუსეთის ფედერაციის შუამდგომლობაზე თანხმობის დაუშვებლობისა და [redacted] რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის მიზანშეუწონლობის შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ირაკლი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 2019 წლის შემდეგ სწავლობს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე [redacted] რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის პროცესს. საქართველოს სახალხო დამცველმა 2020 წლის 12 თებერვლის განცხადებით საჯაროდ მოუწოდა საქართველოს იუსტიციის მინისტრსა და გენერალურ პროკურატურას, რომ არ მიეღოთ დადებითი გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციის შუამდგომლობაზე, საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირებულ [redacted] [redacted] მკვლელობის ფაქტზე დამატებითი ბრალდების წარდგენის შესახებ.[1]

გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილია [redacted] სიძის, [redacted] ინტერესების დამცველი ადვოკატის [redacted] განცხადება.

განცხადების თანახმად, [redacted] არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, რომელიც რუსეთის ფედერაციის მიერ 2020 წლის 3 თებერვალს საერთაშორისო ძებნის შესახებ გაცემული ბრძანების საფუძველზე საქართველოში დააკავეს და ამჟამად საექსტრადიციო პატიმრობაში იმყოფება. [redacted] მათ შორის, ბრალი ედება 2018 წლის 10 ოქტომბერს გამომძიებელ [redacted] განზრახ მკვლელობაში, რისთვისაც, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 295–ე მუხლით, სასჯელის ერთ-ერთ სახედ გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა.

[1] იხ.: < https://bit.ly/30avxW7 > [ბოლოს ნანახია 20.09.2020].

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა [redacted] და [redacted] ადვოკატის განცხადებები, ამასთან, არაერთგზისი კომუნიკაცია ჰქონდა საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან. მოკვლეული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საქართველოს მხრიდან [redacted] [redacted] მკვლელობის ფაქტზე დამატებითი ბრალდების წარდგენის შესახებ რუსეთის ფედერაციის შუამდგომლობაზე თანხმობის გაცემამ, აგრეთვე, [redacted] რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირებამ შესაძლოა გამოიწვიოს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირების ძირითადი უფლებების შელახვა და საქართველოს საერთაშორისო სამართლით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა.

ფაქტობრივი გარემოებები

[redacted]

[redacted] ბრალი ედებოდა რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტითა[2] და 210-ე მუხლის პირველი ნაწილით[3] გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში. რუსეთის ფედერაციაში [redacted] ექსტრადიცია მხოლოდ აღნიშნული დანაშაულებისთვის მოითხოვებოდა, რაც ქართულმა მხარემ 2019 ოქტომბერში დააკმაყოფილა.

ექსტრადიციის განხორციელების მიუხედავად, სახალხო დამცველის აპარატს არ შეუწყვეტია [redacted] უფლებების დაცვაზე ზედამხედველობა. საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 7 თებერვლის №13/7870 წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მიღებულ იქნა რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა [redacted] [redacted] მკვლელობის ფაქტზე დამატებითი ბრალდების წარდგენის თაობაზე. აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობა გათვალისწინებულია რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 295–ე მუხლით, რომლის თანახმადაც, „... გამომძიებლის, ... აგრეთვე მათი ახლობლების სიცოცხლის ხელყოფა ..., წინასწარი გამოძიების წარმოებასთან, განაჩენის ან სხვა სასამართლო აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით, ჩადენილი აღნიშნული პირის კანონიერი საქმიანობის შეფერხების ანდა ასეთი საქმიანობისათვის შურისძიების მიზნით - ისჯება თავისუფლების აღკვეთით თორმეტიდან ოც წლამდე ვადით, თავისუფლების შეზღუდვით ორ წლამდე ვადით ან სამუდამო პატიმრობით ანდა სიკვდილით დასჯით".

საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის თებერვლის საჯარო განცხადების[4] შემდეგ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი პერიოდულად ითხოვდა ინფორმაციას აღნიშნულ საკითხზე საქართველოს გენერალური პროკურატურის პოზიციის თაობაზე. პროკურატურის 2020 წლის 14 აგვისტოს №13/46904 წერილში მითითებულია, რომ გადაწყვეტილება [redacted] [redacted] დამატებითი ბრალდების წარდგენაზე თანხმობის შესახებ მიღებული არ არის. ამ

[2] ქურდობა ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ.

[3] დანაშაულებრივი საზოგადოების/ორგანიზაციის შექმნა რამდენიმე მძიმე დანაშაულის ჩადენის მიზნით და ასეთი საზოგადოების/ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

[4] იხ.: < https://bit.ly/30avxW7 > [ბოლოს ნანახია 20.09.2020]

დროისთვის საქართველოს გენერალური პროკურატურა მუშაობს სამართლებრივ პოზიციაზე, რომელიც საქართველოს იუსტიციის მინისტრს წარედგინება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

[redacted]

[redacted] ადვოკატი მიუთითებს, რომ [redacted] დაკავებულ იქნა რუსეთის ფედერაციის მიერ გაცემული საერთაშორისო ძებნის შესახებ ბრძანების საფუძველზე რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 167-ე, 295-ე 296-ე მუხლებით. ბრალდებულს 2020 წლის 20 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით საექსტრადიციო პატიმრობა შეეფარდა 3 თვის ვადით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2020 წლის 27 ივლისის 15-4/7344 წერილით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

პროკურატურის 2020 წლის 11 აგვისტოს №13/46067 წერილით სახალხო დამცველის აპარატს პასუხად ეცნობა, რომ რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალის თანახმად, [redacted] ექსტრადიცია მოითხოვება რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 296-ე მუხლის მე-2 ნაწილით,[5] 167-ე მუხლის მე-2 ნაწილითა[6] და 295-ე მუხლით[7] გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენასთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით. ამასთან, 295-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ეპიზოდი ეხება 2018 წლის 10 ოქტომბერს გამომძიებელ [redacted] მკვლელობას.

ამავე წერილის თანახმად, მოცემული ეტაპისთვის, რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილია გარანტიები, რომ [redacted] ექსტრადიცია არ მოითხოვება მის მიმართ პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური ნიშნით დევნის მიზნით და ექსტრადიციის შემთხვევაში [redacted] არ დაექვემდებარება წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას. ამასთან, იგი ისარგებლებს დაცვის ყველა შესაძლებლობით, მათ შორის ადვოკატის მომსახურებით.

სამართლებრივი შეფასება

ა) საერთაშორისო ვალდებულებები ექსტრადიციასთან დაკავშირებით

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, ... თუ ჩადენილი

---

[5] მკვლელობის, ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების, ქონების განადგურების და დაზიანების მუქარა გამომძიებლის და აგრეთვე მისი ახლობლების მიმართ, წინასწარი გამოძიების წარმოებასთან დაკავშირებით.

[6] სხვისი ქონების განზრახ განადგურება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება, ცეცხლის წაკიდების გზით.

[7] გამომძიებლის სიცოცხლის ხელყოფა გამოძიების წარმოებასთან დაკავშირებით, აღნიშნული პირის კანონიერი საქმიანობის შეფერხების და ასეთი საქმიანობის გამო შურისძიების მიზნით.

დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს. ასეთ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით".

ამასთან, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მიხედვით, ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება პირის გადაცემა, ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის ინიციატორი სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა.

ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „იმ პირის წინააღმდეგ, რომლის გადაცემაც მოხდა, არ აღიძვრება სამართალწარმოება, არ მიესჯება პატიმრობა ან დაკავდება მის მიერ მის გადაცემამდე ჩადენილი რაიმე სხვა დანაშაულის გამო, იმის გარდა, რომლის ჩადენისთვისაც იგი იქნა გადაცემული" ამავე კონვენციის მიხედვით, გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც გადამცემი მხარე (ამ შემთხვევაში - საქართველო) გასცემს თანხმობას. ამასთან, იმ დანაშაულისთვის, რომელზეც თანხმობა გაიცემა, ექსტრადიციის შესახებ კონვენციის შესაბამისად, შესაძლებელი უნდა იყოს ექსტრადიციის განხორციელება.[8]

კონვენცია მიუთითებს, რომ ექსტრადიცია შეიძლება არ განხორციელდეს, თუ ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოში კონკრეტული დანაშაულისთვის სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული და ეს სახელმწიფო ვერ წარმოადგენს საკმარის გარანტიებს, რომ სასიკვდილო განაჩენი სისრულეში არ იქნება მოყვანილი.[9]

ბ) სიკვდილით დასჯა რუსეთის ფედერაციაში

როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსი რიგ დანაშაულებზე, მათ შორის, 295-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე სასჯელის სახით სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს. კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, „მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის ან მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილე სხვა პირის, პროკურორის, გამომძიებლის, მოკვლევის განმახორციელებელი პირის, დამცველის, ექსპერტის, სპეციალისტის, რუსეთის ფედერაციის იძულებითი სააღსრულებო ორგანოების თანამშრომლის, აგრეთვე მათი ახლობლების სიცოცხლის ხელყოფა სასამართლოში საქმეების ან მასალების განხილვასთან, წინასწარი გამოძიების წარმოებასთან, განაჩენის ან სხვა სასამართლო აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით, ჩადენილი აღნიშნული პირის კანონიერი საქმიანობის შეფერხების ანდა ასეთი საქმიანობისათვის შურისძიების მიზნით - ისჯება თავისუფლების აღკვეთით თორმეტიდან ოც წლამდე ვადით, თავისუფლების შეზღუდვით ორ წლამდე ვადით ან სამუდამო პატიმრობით ანდა სიკვდილით დასჯით".

აღსანიშნავია, რომ ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებებით, რუსეთის ფედერაციას სიკვდილით დასჯის აღსრულებაზე მორატორიუმი აქვს გამოცხადებული. თუმცა, სიკვდილით დასჯა მის გაუქმებამდე შეიძლება დაწესდეს ფედერალური კანონით განსაკუთრებული სასჯელის ზომის სახით, სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებებისთვის

---

[8] „ექსტრადიციის შესახებ" 1957 წლის ევროპული კონვენცია, მუხლი 14, პუნქტი 1. ქვეპუნქტი „ა"
[9] „ექსტრადიციის შესახებ" 1957 წლის ევროპული კონვენცია, მუხლი 11.

ბრალდებულებისთვის სასამართლოს მიერ მისი საქმის განხილვის უფლების მინიჭებისას ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით.[10]

ადვოკატის მიერ წარმოდგენილია ქალაქ მოსკოვის ადვოკატთა რეგიონთაშორისი კოლეგიის სამართლებრივი დასკვნა რუსეთის ფედერაციაში სიკვდილით დასჯის, როგორც ინსტიტუტის სტატუსისა და სახეცვლის შესახებ. დასკვნის თანახმად, 1996 წლის 16 მაისს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ გაცემული იქნა ბრძანება N724 „სიკვდილით დასჯის გამოყენების ეტაპობრივი შემცირების შესახებ, ევროპის საბჭოში რუსეთის შესვლასთან დაკავშირებით".

1997 წლის 16 აპრილს რუსეთის ფედერაციამ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის N6 დამატებით ოქმს სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ, თუმცა იგი დღემდე რჩება ევროპის საბჭოს ერთადერთ წევრად, რომელსაც ზემოაღნიშნული ოქმი რატიფიცირებული არ აქვს.[11]

ამასთან, ამავე კონვენციის N13 დამატებითი ოქმი ნებისმიერ ვითარებაში სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ, დღემდე ხელმოწერილი არ არის რუსეთის ფედერაციის მიერ.[12]

რაც შეეხება სიკვდილით დასჯაზე რუსეთის ფედერაციაში მოქმედ მორატორიუმს, აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 2 თებერვლის დადგენილებით მისი აღსრულების მოქმედება შეჩერებულია მანამ, სანამ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არ იარსებებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელიც განიხილავს სიკვდილით დასჯას დაქვემდებარებული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირთა საქმეს. აღნიშნული მორატორიუმი რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ გააგრძელა 2009 წლის 19 ნოემბრის დადგენილებით.[13]

ამრიგად, რუსეთის ფედერაციაში სიკვდილით დასჯაზე მოქმედ მორატორიუმს მხოლოდ ვიწრო და დროებითი დატვირთვა გააჩნია. იგი მოქმედებს იქამდე, სანამ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არ შეიქმნება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. მორატორიუმი ატარებს ტექნიკურ ხასიათს. რუსეთის ფედერაციას დღემდე ინსტიტუციურად უარი არ უთქვამს სიკვდილით დასჯაზე და ცალსახად არ გამოუცხადებია, როგორც ადამიანის ძირითადი უფლების უხეში დარღვევა, რასაც, მათ შორის, კიდევ ერთხელ მოწმობს ის ფაქტიც, რომ დღემდე რუსეთის ფედერაციას არ აქვს რატიფიცირებული ევროპული კონვენციის N6 დამატებითი ოქმი და არ აქვს ხელი მოწერილი N13 დამატებით ოქმზე.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შექმნის პერიოდში სიკვდილით დასჯის გამოყენება არ ითვლებოდა საერთაშორისო სტანდარტების საწინააღმდეგო ქმედებად. თუმცა დროთა გამავლობაში ევროპაში სამართლებრივი კულტურისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის ზრდასთან ერთად, ევროპის საბჭომ გეზი აიღო სიკვდილით დასჯის გამოყენების

---

[10] რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი.
[11] < https://bit.ly/32NiPOt > [ბოლოს ნანახია 20.09.2020].
[12] < https://bit.ly/3kz5yPL > [ბოლოს ნანახია 20.09.2020].
[13] < https://bit.ly/3cnEX5q > [ბოლოს ნანახია 20.09.2020].

სრული და აბსოლუტური აღმოფხვრის მიმართულებით. სიკვდილით დასჯის აბსოლუტური გამორიცხვა კი მოიცავს ამ უკანასკნელის როგორც *de facto*, ისე *de jure* აღმოფხვრას.[14]

დღემდე კი რუსეთის ფედერაცია რჩება ევროპის საბჭოს ერთადერთ წევრ სახელმწიფოდ, რომელიც არ იზიარებს ევროპულ კონსენსუსს სიკვდილით დასჯის აკრძალვის კანონმდებლობაში ასახვასთან დაკავშირებით. ამგვარად, ევროპული კონვენციის მე–6 და მე–13 დამატებითი ოქმების გაგებით, სიკვდილით დასჯის გამოყენებაზე არსებული მორატორიუმი, რუსეთის ფედერაციის მხრიდან მე–6 და მე–13 დამატებითი ოქმების, შესაბამისად, რატიფიცირებისა და ხელმოწერის არარსებობის პირობებში, ვერ ჩაითვლება კონვენციის შესაბამის მიდგომად.

შესაბამისად, რუსეთის ფედერაციას ევროპის საბჭოს წინაშე ოფიციალურად არ აქვს ნაკისრი სიკვდილით დასჯის აბსოლუტურად გამორიცხვის ვალდებულება. აღნიშნული რუსეთის ფედერაციას აძლევს შესაძლებლობას, საჭიროებისა და სურვილის შემთხვევაში, ზემოხსენებული მორატორიუმი გააუქმოს ნებისმიერ დროს, რაც პირდაპირ წინააღმდეგობაში იქნება ადამიანის უფლებების მხრივ არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან.[15]

წინამდებარე საქმის ანალიზი

სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოცემულობა ნათლად ადასტურებს რუსეთის ფედერაციის ნების ნაკლებობას, რომ საბოლოოდ უარი თქვას ადამიანის ღირსების წინააღმდეგ მიმართულ უმაღლეს სასჯელზე და კანონმდებლობა სრულად შესაბამისობაში მოიყვანოს თანამედროვე დემოკრატიულ ღირებულებებთან და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან. მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, შეუძლებელია სრულად გამოირიცხოს რუსეთის ფედერაციის მხრიდან სიკვდილით დასჯის აღსრულებაზე არსებული მორატორიუმის გაუქმება.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, აკრძალულია არამხოლოდ სასიკვდილო განაჩენის აღსრულება, არამედ სასჯელის სახედ მისჯაც.[16] საყურადღებოა ისიც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გაგებით, სიკვდილით დასჯის აკრძალვა მიემართება არამხოლოდ სიცოცხლის ძირითადი უფლების დაცვის სფეროს, არამედ ეფუძნება ადამიანის ღირსებასაც - „... სიკვდილით დასჯის გაუქმება არსებითია ... ყოველი ადამიანის წარუვალი ღირსების აღიარებისათვის".[17] აქედან გამომდინარე, სიკვდილით დასჯის სხვადასხვა სამართლებრივი ასპექტი არაერთხელ ყოფილა განხილული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დაცული სფეროს ფარგლებში. საქმეში Soering v United Kingdom ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაუკავშირა საკუთრივ

---

[14] საქმე Al-Saadoon and Mufdhi v. the United Kingdom, საჩივარი 61498/08, 2010, §116.

[15] საქმე A.L. (X.W.) v. Russia, საჩივარი 44095/14, 2015, §64-65.

[16] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, N13 დამატებითი ოქმი, მუხლი 1. „...არ შეიძლება, ვინმეს შეეფარდოს სიკვდილით დასჯა ან ვინმეს მიმართ ასეთი განაჩენის აღსრულება."

[17] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-13 ოქმის პრეამბულა.

სიკვდილით დასჯის მოლოდინს და იმ სულიერ სატანჯველს, რასაც გულისხმობდა მომჩივნის წლების განმავლობაში „ცხოვრება სიკვდილის აჩრდილთან ერთად".[18]

ამგვარად, მოცემულ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის ექსტრადიციით ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა, იგი დაექვემდებარებოდა კონვენციის მე-3 მუხლთან შეუთავსებელ მოპყრობას.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ რუსეთის ფედერაციას ჯერ კიდევ არ აქვს გათავისებული სიცოცხლის ძირითადი უფლებისა და ღირსების ხელშეუვალობის მასშტაბები და ევროპის საბჭოს არაერთგზისი მოწოდების მიუხედავად, დღემდე სიკვდილით დასჯის შესაძლებლობა აბსოლუტურად ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი.

ამასთან, საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლების დარღვევის სიხშირით რუსეთის ფედერაციას 2019 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წაგებული საქმეების რაოდენობით პირველი ადგილი ეკავა. მხოლოდ 2019 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ ორი უფლების დარღვევისა და მისი არაეფექტიანი გამოძიების 130 შემთხვევა გამოავლინა.[19]

აღნიშნული საკითხი ხაზგასმულია საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 3 წინადადებაშიც, სადაც ნათლად არის დასაბუთებული უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის დაუშვებლობა, მათ შორის, რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში სავალალო მდგომარეობისა და მისი გათვალისწინებით, შესაძლო ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის განხორციელების საფრთხის გამო.[20]

აქედან გამომდინარე, [redacted] დამატებითი ბრალდების წარდგენის თაობაზე რუსეთის ფედერაციის შუამდგომლობაზე თანხმობის გაცემის, ისევე, როგორც [redacted] რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის განხორციელების შემთხვევაში, საქართველო დაარღვევს არამხოლოდ შიდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, არამედ უგულებელყოფს რუსეთის ფედერაციაში ევროპულ სტანდარტებთან, ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან შეუსაბამო კანონმდებლობასა და ძირითადი უფლებების უხეში დარღვევების მანკიერ პრაქტიკას.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი პოზიციის შემუშავების, აგრეთვე, [redacted] რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა გაითვალისწინოს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში რუსეთის ფედერაციაში არსებული ზოგადი მდგომარეობა, რუსეთის ფედერაციის დამოკიდებულება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან (მათ შორის, კონვენციის

---

[18] საქმე Soering v United kingdom, საჩივარი 14038/88, 1989, §106.

[19] < https://www.echr.coe.int/Documents/Stats_violation_2019_ENG.pdf > [ბოლოს ნანახია 20.09.2020].

[20] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 3 აგვისტოს N 15-3/7616 წინადადება.

დამატებით ოქმებთან), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა და ამგვარად შეაფასოს რუსეთის ფედერაციის ოფიციალური წარმომადგენლებისგან მიღებული გარანტიების საკმარისობისა და სარწმუნოობის საკითხი.

გასათვალისწინებელია, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოდგენილი გარანტიების მხედველობაში მიღება დასაშვებია მაშინ, როდესაც არ არსებობს ობიექტური და საკმარისი საფუძველი, რათა შეტანილ იქნეს ეჭვი ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოს გულწრფელობაში. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ სიტყვიერად, ფორმალურად წარმოდგენილი გარანტიების საკმარისობა და დამაჯერებლობა უნდა შეფასდეს მოცემულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხის მიხედვით.[21]

თუმცა, როგორც სიკვდილით დასჯის ირგვლივ ზემოთ მიმოხილული ინფორმაცია, აგრეთვე ევროპულ სასამართლოსთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის სტატისტიკა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოდგენილი გარანტიები, რომლის მიხედვითაც, [redacted] და [redacted] არ დაექვემდებარებიან არასათანადო მოპყრობას, მიჩნეულ იქნეს საკმარისად ან დამაჯერებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ ფონზე, როდესაც რუსეთის ფედერაცია სისტემატიურად არღვევს კონვენციურ ვალდებულებებს, სრულად ვერ გამოირიცხება სიკვდილით დასჯაზე გამოცხადებული მორატორიუმის უგულვებელყოფის საფრთხე. ამ პირობებში, რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორისაგან მიღებული გარანტია არ შეიძლება შეფასდეს ადამიანის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის გარანტიად. იგივე მიდგომა უნდა გავრცელდეს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის 2.1 პუნქტთან მიმართებით, რომლის მიხედვითაც „სიკვდილით დასჯა არ ეფარდება პირს, რომელიც გადაცემულია რუსეთის ფედერაციისთვის უცხოური სახელმწიფოს მიერ სისხლისსამართლებრივი დევნისათვის ... თუ პირის გამცემი უცხოური სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, სიკვდილით დასჯა ამ პირის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის გათვალისწინებული არ არის ან სიკვდილით დასჯის გამოუყენებლობა წარმოადგენს გაცემის პირობას...“.

როგორც ზემოთ იქნა მიმოხილული, მორატორიუმის უგულებელყოფის მოლოდინის პირობებში და რუსეთის ფედერაციაში ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებებიდან გადახვევის შემთხვევების ინტენსივობისა და დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს მხრიდან არასაკმარისი და არაგონივრული იქნება მოცემულ ნორმაზე დაყრდნობა.

დამატებით, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ პირის ექსტრადიციის შემთხვევაში იგი ფაქტობრივად სრულად ექცევა მომთხოვნი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში და თუნდაც წარმოდგენილი გარანტიების დარღვევის შემთხვევაში, საქართველო, ისევე, როგორც

---

[21] Harkins and Edwards v. the United Kingdom საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წარმოდგენილი გარანტიების მიმართ, რომელთა მიხედვითაც, ექსტრადიციის შემთხვევაში მომჩივნები არ დაექვემდებარებოდნენ არაადამიანურ მოპყრობასა და სასჯელს, მოქმედებდა კეთილსინდისიერების პრეზუმფცია იქიდან გამომდინარე, რომ აშშ–ს გააჩნდა დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და სამართლის უზენაესობის პატივისცემის ხანგრძლივი ისტორია. (საჩივრები N9146/07 და 32650/07, 2012 § 85)

საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციები მოკლებული იქნებიან ამ უკანასკნელზე სამართლებრივი რეაგირების რაიმე ეფექტურ საშუალებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მხარი არ უნდა დაუჭიროს [redacted] დამატებითი ბრალდების წარდგენასა და [redacted] [redacted] რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციას.

დასკვნა

წარმოდგენილი საქმის მასალების შესწავლისა და ანალიზის შედეგად მიგვაჩნია, რომ [redacted] [redacted] [redacted] მკვლელობის ფაქტზე დამატებითი ბრალდების წარდგენის შესახებ რუსეთის ფედერაციის შუამდგომლობაზე თანხმობის გაცემის, ან/და [redacted] რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში, ისინი შეიძლება დაექვემდებარონ არასათანადო მოპყრობას ან/და მათ მიმართ შეფარდებულ იქნას სასიკვდილო განაჩენი. აღნიშნული კი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან, კანონმდებლობასთან და საერთაშორისო ვალდებულებებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით:

- არ დაუშვათ ბრალდებულ [redacted] რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიცია და „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რაკი არსებობს გარემოება, რომელიც აშკარად გამორიცხავს პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციას, მიმართოთ საქართველოს იუსტიციის მინისტრს ექსტრადიციის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ბრძანების გამოცემის შუამდგომლობით
- „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული პოზიციის შემუშავების პროცესში გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოაღნიშნული და არ განაცხადოთ თანხმობა რუსეთის ფედერაციის შუამდგომლობაზე [redacted] [redacted] მკვლელობის ფაქტზე დამატებითი ბრალდების წარდგენის თაობაზე

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 31 (ოცდათერთმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი